მინიმალური ანგარიში და გამოუყენებელი შესაძლებლობანი

თბილისი. 7 მაისი. "ბურევესტნიკის" სტადიონი.

"დინამო" (თბილისი) - "კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:0 (0:0).

"დინამო": კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა (ხუნდაძე), გ. სიჭინავა, ზეინკლიშვილი, ფიფია, ხელაძე, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

"კრილია სოვეტოვი": კარასევი, გრიშინი, სარიჩევი, მაიოროვი, ბრედნევი, ფედოროვი, შიროჩკინი, სოლოვიოვი, ბ. კაზაკოვი, ა. კაზაკოვი, ლიპატოვი.

მსაჯი მენშიკოვი (მოსკოვი).

შესაძლებლობათა მიხედვით რომ განვსაჯოთ აღნიშნული მატჩი, თბილისის დინამოელთა უპირატესობა უდაო იყო. განსაკუთრებით შეხვედრის მეორე ნახევარში. მასპინძლებს ჰქონდათ აშკარა ტერიტორიული უპირატესობა, გაცილებით მეტი სახიფათო მომენტები, უფრო გააზრებული და მწვავე შეტევები, და მაინც მათ მატჩი მინიმალური უპირატესობით მოიგეს.

კუიბიშევის "კრილია სოვეტოვი" ძალისმიერი ფეხბურთის ტიპიური წარმომადგენელია. გუნდი, თავის მოთამაშეთა არც თუ ისე მაღალი ტექნიკური ოსტატობის კომპენსაციას, უაღრესად თავგანწირული თამაშის წყალობით ცდილობს. მაგრამ უმეტესად თავგანწირვა და შეუპოვრობა უხეშ ფორმებში ვლინდება და შთაბეჭდილება რჩება ისეთი, თითქოს გუნდი კი არ თამაშობს, არამედ მოწინააღმდეგეს უშლის ხელს თამაშში.

თბილისის "დინამომ" ამ მატჩში გამარჯვების ერთადერთი და სწორი გზა აირჩია, რაც მისი ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობის ყოველმხრივ გამოყენებაში უნდა გამოხატულიყო. გზა სწორი იყო, მაგრამ მის შესრულებას სამწუხაროდ, მთელი რიგი ნაკლოვანებები ჰქონდა. მაგალითისათვის კმარა გადაცემათა სიზუსტის უაღრესად დაბალი ხარისხი. რამდენი მიწოდება, რამდენი გადაცემა დაკარგეს თბილისელებმა, რამდენჯერ ჩააბარეს მათ ბურთი უბრძოლველად მოწინააღმდეგეებს. და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგის კარის აღებას თითქმის აღარაფერი აკლდა. ყოველი დაკარგული ბურთი, ყოველი უმისამართო მიწოდება უადვილებდა მოწინააღმდეგეს დაცვის ორგანიზებას, დინამოელებს კი აშორებდა სასურველი გოლისაგან.

ასე იყო თუ ისე, თამაშის ლოგიკას ნელ-ნელა, მაგრამ დამაჯერებლად მივყავდით იმ მომენტამდე, როდესაც სადემონსტრაციო დაფაზე "დინამოს" წარწერის გასწვრივ უნდა ანთებულიყო ციფრი "1". ეს მოხდა მეორე ტაიმის მე-4 წუთზე, როდესაც იამანიძე უდიდესი სისწრაფით შემოიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და მცველებთან ორთაბრძოლაში ძლიერი ბურთი გაგზავნა კარში.

ამ წარმატებამ მასპინძლებს ფრთები შეასხა. ორიოდე წუთის შემდეგ იმავე იამანიძის უძლიერესი დარტყმა კარის ძელს ხვდება, ხოლო ერთი წუთის შემდეგ მეკარე კარასევი აკრობატულ ნახტომში იგერიებს მეტად ძნელ ბურთს.

ინიციატივა უკვე საბოლოოდ "დინამოს" მხარეს გადადის.

... თამაში უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც იამანიძე მოწინააღმდეგის მცველებმა "მოცელეს" საჯარიმო მოედნის სიღრმეში. მსაჯმა სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზერელედ დაარტყა კალოევმა. საბოლოო ჯამში მასპინძლებმა დაკარგეს ანგარიშის გაზრდის კიდევ ერთი რეალური შანსი.

მატჩი თბილისის დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0. მათ სატურნირო ცხრილში პირველი ორი ქულა ჩაიწერეს, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, გუშინდელი მატჩით ჩვენმა გუნდმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა თავისი პოტენციური ძალა, რომელიც უკვე დგება ნორმალურ საბრძოლო კალაპოტში.

გ. ნადირაძე.
"ლელო", 8 მაისი 1962 წ.